



N 01/485
20/12/2024

485-01-2-202412201455



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგინთ 500 კვ ძაბვის ეგზ „კავკასიონის“ N91-N94 საყრდენებს შორის უბნის რეკონსტრუქციის (500/110/35 კვ ძაბვის „ილიანი“-ს ქვესადგურში 500 კვ ძაბვის საჰაერო ეგზ „კავკასიონი“-ს შეჭრა (შესვლა-გამოსვლა)) პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

500 კვ ეგზ „კავკასიონის“ N91-N94 ანგებს შორის მონაკვეთის რეკონსტრუქციის პროექტზე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 5 სექტემბრის N493/ს ბრძანებით გაცემულია N52 სკოპინგის დასკვნა.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მომზადებულია N52 სკოპინგის დასკვნის და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-10 მუხლის შესაბამისად.

დანართი:

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი - 1 ფურც;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან სს გეს „საქრუსენერგო“-ს რეგისტრაციის თაობაზე - 2 ფურც;
- 500 კვ ძაბვის ეგზ „კავკასიონი“-ს N91-N94 საყრდენებს შორის უბნის რეკონსტრუქციის (500/110/35 კვ ძაბვის „ილიანი“-ს ქვესადგურში 500 კვ ძაბვის საჰაერო ეგზ „კავკასიონი“-ს შეჭრა (შესვლა-გამოსვლა)) პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია - 227 ფურც;

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია - 88 ფურც;
- ელექტროგადამცემი ხაზის სარეკონსტრუქციო მონაკვეთის დერეფნის სიტუაციური სქემა - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია - 1 ფურც;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული ტერიტორიების GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - 1 CD დისკი.

პატივისცემით,

ბაჩანა სულაძე



გენერალური დირექტორი

